



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N10

ქ.ლანჩხუთი

13.06.2017 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქციის, „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქციის, „დამოუკიდებელი“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე. საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქციის, „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლი ზაზა ურუშაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ნუგზარ ცინცაძე, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი გელა ზოიძე, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორი ოლივერ გოგუაძე, მედიის წარმომადგენლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ განმარტა, რომ რიგგარეშე სხდომის ფორმატში საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნა გამგებლის წინადადებისა და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივის საფუძველზე. რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანილია ის საკითხები, რომელთა გადადება გამოიწვევს მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების შეფერხებას.

პირველი საკითხი გახლავთ 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანა. როგორც ცნობილია, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის 1 998 ჰა თხილის ფართობის დასამუშავებლად საჭირო მუშახელის შრომის ანაზღაურებისთვის გამოყოფილია 199 800 ლარი, ხოლო საწვავის შესყიდვისთვის 15 984 ლარი. ამავე განკარგულებით მუნიციპალიტეტებს დაევალებათ შესაბამისი საწვავის შეძენა და მუშახელის აყვანა. იმის გათვალისწინებით, რომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებს თავისი ვადები აქვს, საჭიროა გამოყოფილი თანხების დროული ასახვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, რადგან დაუყოვნებლივ დაიწყოს შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მეორე საკითხი ეხება საკრებულოს აპარატის ნუსხაში ცვლილებების შეტანას. ეს გამოწვეულია კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე. კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, 2017 წლის 1 ივლისამდე უზრუნველყოფილ უნდა იქნას შტატების დასახელებებში ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 19 მაისის N984 განკარგულებით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებისათვის გამოყოფილია და 2017 წლის ბიუჯეტში ასახულია გრანტის სახით სულ 215784 ლარი მათ შორის მუშახელის შრომის ანაზღაურებისათვის 199800 ლარი და საწვავის შესყიდვისთვის 15984 ლარი. შეთანხმების საფუძველზე მიზანშეწონილია აღნიშნული ღონისძიება განხორციელდეს ა(ა)იპ საგარეო-

ეკონომიკური კავშირურთიერთობების ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის მეშვეობით, რისთვისაც გადაეცეს 215784 ლარი სუბსიდიის სახით.

საქართველოს მთავრობის 02 ივნისის N1091 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 250294 ლარი, ინფრასტრუქტურული ობიექტების თანადაფინანსება 13177 ლარი საკუთარი შემოსავლების ხარჯზე, ავტომობილის პარკირების მოწესრიგებისათვის გამოიყოს 2000 ლარი. ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 15177 ლარით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ 3 წლის წინ ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში დაიწყო მინი სტადიონის მშენებლობა. განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე უკვე დახარჯულია 15 000 ლარი, რომელიც ფაქტიურად წყალშია გადაყრილი. მუნიციპალიტეტის გამგებლიდან იყო თანხმობა და მოსახლეობისადმი დაპირება, რომ მიმდინარე წლის მაის - ივნისის თვეებში მოხდებოდა თანხის დამატებით გამოყოფა და მშენებლობა დასრულდებოდა. ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გამოყო დამატებით თანხა სამი მინი სტადიონის მშენებლობისთვის, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული სოფელ ჩიბათის მინი სტადიონი. დეპუტატი დაინტერესდა, რატომ მოხდა ასეთი გადაწყვეტილების მიღება და რატომ გაიცა თავის დროზე მოსახლეობისთვის დაპირება მინი სტადიონის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** ასევე უკმაყოფილება გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარისთვის განკუთვნილი ავტომობილის სავალალო მდგომარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს არის სამარცხვინო ფაქტი. აღნიშნული ტრანსპორტი სარემონტო სამუშაოებს აღარ ექვემდებარება და მისი საშუალებით გადაადგილება საფრთხის შემცველია.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწამემ** აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის მიერ

გაცემულია თანხმობა საკრებულოს თავმჯდომარისთვის 10 000 ლარის ფარგლებში მეორადი ავტომობილის შეძენასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მთავრობის ამ გადაწყვეტილების განხორციელებისთვის არანაირი ხელისშემშლელი ფაქტორი არ უნდა არსებობდეს. დეპუტატი ასევე დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში რაიმე პროექტის გაკეთება ინფრასტრუქტურული კუთხით.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ როგორც საკრებულოს რიგით წევრს, შეცდომად და დანაშაულად მიაჩნია თანხის ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრისთვის გადაცემა. მთავრობამ დაფინანსება გამოყო სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, რომელმაც შემდეგ თანხა გადაანაწილა მუნიციპალიტეტებში. სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონში ყავს სურსათის უვნებლობის სამსახური, რომლის შესაბამისი განყოფილება ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტში. უკეთესი იყო, რომ თანხა გადაცემოდა ამ კონკრეტულ განყოფილებას და მასვე განხორციელებინა აღნიშნული პრეპარატი შეწამვლითი სამუშაოები. დეპუტატმა კითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, თუ ვინ აიღებს პასუხისმგებლობას, რომ ჩატარებული სამუშაოების შედეგად არ დაზარალდება ადგილობრივი ბიუჯეტი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობა სოფლის მეურნეობის წარმომადგენლობას თანხას ვერ მისცემდა, რადგან თანხა გამოყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან და იგი შესაბამისად გადანაწილდა თვითმმართველობებზე. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი ძირითადად მუშაობს სოფლის მეურნეობის განხრით, ამიტომ გადაწყდა, რომ მას მიეღო დაფინანსება და განხორციელებინა შეწამვლითი სამუშაოები. ამასთან, ბრძანებით შექმნილია კომისია, რომელიც მიმდინარე პროცესებს გააკონტროლებს და გაუწევს მეთვალყურეობას. მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ გატარებულ ღონისძიებებზე პირადად იღებს პასუხისმგებლობას.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ შეწამვლითი სამუშაოების არასწორად ჩატარებისას კერძო მესაკუთრის ქონებას შეიძლება მიაღვეს სერიოზული ზიანი. საჩივრის შეტანის შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოქალაქეს უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული მატერიალური ზარალი. დეპუტატის თქმით, სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა გურიის გუბერნატორის მოადგილე, პასუხი ვერ მიიღო მის მიერ დასმულ შეკითხვაზე, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. მწირი ხელფასის მქონე ოპერატორი, რომელიც ასრულებს შეწამვლით სამუშაოებს, ვერ შეძლებს სოლიდური თანხის გადახდას. ასეთ შემთხვევაში ზარალდება ადგილობრივი ბიუჯეტი. დეპუტატი დაინტერესდა, იღებს თუ არა მუნიციპალიტეტის გამგებელი პასუხისმგებლობას, რათა გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, შეკითხვა არასწორი მისამართითაა დასმული, რადგან მუნიციპალიტეტის გამგებელი ვერ წყვეტს იმ საკითხს, რომ თანხა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებს ჩაერიცხოს თუ მუნიციპალიტეტს. დეპუტატ გიორგი გოგუაძეს აღნიშნული შეკითხვა უნდა დაესვა სურსათის უვნებლობის სამსახურისთვის. აგრეთვე, შეეძლო ამის თაობაზე წერილობით

მიემართა პრემიერ-მინისტრის ან სოფლის მეურნეობის მინისტრისთვის. გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები და დეპუტატები აქტიურად არიან ჩართულები შეწამვლასთან დაკავშირებულ პროცესებში. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრზე დაწესდება კონტროლი, რათა მის მიერ სწორად მოხდეს პრეპარატის გამოყენება და მაქსიმალურად იქნას დაცული შესაბამისი ნორმები, რათა გატარებული ღონისძიებების შედეგად ზიანი არ მიადგეს მოსახლეობას.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ განკარგულების მიხედვით სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოს და შესაბამის სამსახურს ევალება შესაწამლი პრეპარატის გამარტივებული ტენდერით შესყიდვა. დეპუტატმა კითხვით მიმართა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას, არის თუ არა კანონთან შესაბამისობაში ის, რომ მომსახურების თანხაზე არ ტარდება ტენდერი და პირდაპირი გზით გადაეცა ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს. დეპუტატი ასევე დაინტერესდა საწვავის შესყიდვისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით, ტენდერი გამოცხადდა საწვავის რაოდენობაზე თუ მხოლოდ ფასზე.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ეს არის კონსოლიდირებული ტენდერი. აქედან გამომდინარე, „რომპეტროლთან“ გამარტივებული წესით ხელშეკრულების გაფორმება არ იწვევს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. რაც შეეხება მომსახურების კუთხით გამოყოფილ 199 800 ლარს, იგი მიმართულია სახელფასო ფონდისკენ, ხოლო ხელფასებთან დაკავშირებით არ ხდება ტენდერების გამოცხადება.

დეპუტატმა, **გიორგი გოგუაძემ** ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, შეწამვლითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაწამლი აპარატები რჩება მუნიციპალიტეტს, რათა მომავალში კვლავ იქნას გამოყენებული. როგორც ცნობილია, ამერიკული პეპელას წინააღმდეგ ჩატარებული შეწამვლითი სამუშაოების შემდეგ სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადმოეცა 45 ცალი აპარატი. დეპუტატი დაინტერესდა, თუ რა მდგომარეობაშია ახლა ეს აპარატები და ვინ არის მათზე პასუხისმგებელი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლებისგან შემოსულია მომართვა 2 ცალი ახლი ნაგავმზიდი მანქანების ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ტექ-სერვისი“-სათვის გადაცემასთან დაკავშირებით. დეპუტატი დაინტერესდა, რაიმე ცვლილება ხომ არ განხორციელდა აღნიშნული ა(ა)იპ-ის ფუნქციაში.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, მუნიციპალიტეტმა მიღო ორი ცალი კომპაქტიანი ნაგავმზიდი მანქანა და ისინი შესაბამისად გადაეცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთი-სერვისი“-ს.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ორი წლის წინ, 2015 წლის 13 ივნისის თბილისის სტიქიას გურიის რეგიონიდან ორი შესანიშნავი ახალგაზრდის

სიცოცხლე შეეწირა. ასევე აღნიშნა, რომ შეწამვლითი სამუშაოების ჩატარება აუცილებელია, მაგრამ გასათვალისწინებელია სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ შემოთავაზებული პირობები. ამასთან, ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირთა დეპარტამენტის, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის მიერ მაქსიმალურად უნდა იქნას დაცული უსაფრთხოების ნორმები. ასევე, საჭიროა მოსახლეობას მიეწოდოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია პრეპარატის შესახებ. დეპუტატმა აღნიშნა, რომ კარგად ესმის, როგორც საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჩახვამის, ასევე სხვა კოლეგების უკმაყოფილება ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით, მაგრამ თანხა, რომელიც მუნიციპალიტეტს გამოეყო დამატებით, გადანაწილდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ. დეპუტატმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ ის დაპირებები, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გაცემულ იქნა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიმართ, შეძლებისდაგვარად უნდა შესრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მოქალაქეების სამართლიან უკმაყოფილებას გამოიწვევს.

დეპუტატ, **თეიმურაზ მარშანიშვილის** აზრით, მართლაც სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ საკრებულოს თავმჯდომარე გადაადგილდება მოძველებული და მწყობრიდან გამოსული ავტომობილით. დეპუტატის თქმით, მეორადი ავტომანქანის შეძენამდე ადგილობრივი ბიუჯეტიდან იქნებ გამოინახოს 1000 ლარი, რათა სატრანსპორტო საშუალებას შეძლებისდაგვარად ჩაუტარდეს სარემონტო სამუშაოები.

დეპუტატ, **თეიმურაზ მარშანიშვილის** ამ განცხადებას დეპუტატების მხრიდან მწვავე უკმაყოფილება მოჰყვა, რადგან მათი თქმით, ავტომობილი სავალალო მდგომარეობაშია და რემონტს აღარ ექვემდებარება. ამასთან, აღნიშნული ავტომანქანის საშუალებით გადაადგილება ფაქტიურად შეუძლებელია და სერიოზულ საფრთხეს შეიცავს.

დეპუტატ, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, სოფლის ახალგაზრდების თხოვნაა, რომ შუხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდეს სტადიონი. ორი წლის წინ დეპუტატი მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად მათ დაპირდა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა ყოფილი ჭადრაკის სახლისა და მიმდებარე ტერიტორიის აუქციონზე გატანა, რომ ამოღებული თანხით გაკეთდეს სოფელში სტადიონი. მან ასევე თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომ აცანა - მამათის გზაზე დაიდგას ნაგვის ორი ურნა.

ყოფილი ჭადრაკის სახლის შესახებ გაკეთებულმა განცხადებამ დეპუტატ, ადამი ხუხუნაიშვილის უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით დეპუტატმა, აკაკი იმნაიშვილმა განმარტა, რომ მას კოლეგის მოთხოვნა ჭადრაკის სახლთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული ეგონა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის, **ზაზა ურუშაძის** თქმით, ნაგვის ურნები კვირის ბოლომდე გადანაწილდება და მათ მოემსახურება ნაგავშიდი მანქანები. სტადიონის თემასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს, გიორგი ჩახვამეს და სოფელ ჩიბათის მოსახლეობას დაპირდა მინი სტადიონის გაკეთებას, რომლის მშენებლობაც აუცილებლად დასამთავრებელია. მაგრამ სადაც ისინი გაკეთებულია, იმას მოვლა - პატრონობა ჭირდება. მუნიციპალიტეტის გამგებლის თქმით, ზოგიერთ

ადმინისტრაციულ ერთეულში სტადიონები მოუვლელი და მოუწესრიგებელია, მასში პირუტყვია ჩაშვებული.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში საკმაოდ კარგი სტადიონია გაკეთებული, მაგრამ იგი საჭიროებს მცირე რემონტს დაახლოებით 1000 ლარის ფარგლებში.

დეპუტატმა, **თეიმურაზ ალექსაიამ** აღნიშნა, რომ მალე ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით მოეწყობა მუნიციპალიტეტის სკოლების ფიზკულტურის მასწავლებლების შეხვედრა. ძალიან კარგი პროექტია. დახმარება გაეწევა სკოლებს სტადიონების მოწესრიგებაში, რისთვისაც პედაგოგებმა უნდა წარმოადგინონ შესაბამისი წინადადებები, თუ რა ჭირდებათ. ფეხბურთის ფედერაცია საკუთარ თავზე იღებს, რომ სოფლებში ფეხბურთი გახდეს უფრო მასიური.

დეპუტატმა, **ამირან ქანთარია** უკმაყოფილება გამოხატა, რომ ოთხი წლის განმავლობაში მის მიერ გამოთქმული არც ერთი თხოვნის თუ მოთხოვნის გათვალისწინება არ მომხდარა, გარდა პიროვნული დახმარებისა, რისთვისაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, გიორგი ხელაძეს, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ბესიკ ტბიძეს. მან აღნიშნა, რომ წვიმის დროს მისი დაწესებულების მიმდებარე ტერიტორია იტბორება და შენობასთან მისვლა ძნელდება. საკუთარი სახსრებით დააგო ასფალტის საფარი, რომელიც დააზიანა საბიუჯეტო ორგანიზაციამ. დეპუტატმა რამდენჯერმე მიმართა აღნიშნული პრობლემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებელს, რომლის მხრიდან იყო დაპირება დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეს არის გარდამავალი პროექტი. კლინიკის მიმდებარე ტერიტორიაზე აუცილებლად კეთილმოეწყობა პარკი. შემსრულებელ ფირმას ვალდებულება აქვს სექტემბრის ბოლომდე, რათა მოაწესრიგოს ქალაქში მდებარე პარკები. ასფალტის საფართან დაკავშირებით პირადად ორჯერ ესაუბრა საგზაო დეპარტამენტის უფროსს, რომელიც დაპირდა პრობლემის მოგვარებას.

დეპუტატ, **დარეჯან ბურჭულაძემ** გამოთქვა შენიშვნა, რომ უმჯობესია ამ ორი საკითხის განცალკევება. პირადად ის, მიესალმება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას და მხარს უჭერს მას. ამასთან, აინტერესებს, იგეგმება თუ არა ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში ამ კუთხით რაიმეს გაკეთება. ასევე, დეპუტატმა აღნიშნა, რომ შეწამვლის პროცესის წინააღმდეგ არავინ არ არის. მისი აზრით, უსაფრთხო ზონებში, დასახლებული პუნქტებიდან დაშორებით დასაშვებია შესაწამლი ქიმიური ნივთიერების გამოყენება, მაგრამ ვინაიდან, შეწამვლის პროცესი არის ნებაყოფლობითი, ამიტომ მოსახლეობას უნდა მიეცეს გადაწყვეტილების მიღების საშუალება. დეპუტატის თქმით, არ არის დარწმუნებული აღნიშნული პრეპარატის უსაფრთხოებაში, ამიტომ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების საკითხთან დაკავშირებულ კენჭისყრაში პირადად ის მონაწილეობას არ მიიღებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტბიძემ** აღნიშნა, რომ შეწამვლის პროცესთან დაკავშირებული ვადები შეზღუდულია. შარშან თხილის მოსავლის 70 % მწერმა გაანადგურა, რის გამოც ხალხმა სერიოზული ფინანსური ზარალი განიცადა. მოსახლეობის უმრავლესობას აინტერესებს, თუ როდის დაიწყება შეწამვლა. გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გაკეთებულია საკმარისი ახსნა-განმარტება. ამასთან,

პროცესი ნებაყოფლობითია. რაც შეეხება სტადიონების მშენებლობას, დეპუტატი მომხრეა, რომ ისინი გაკეთდეს, მაგრამ ეს ერთდროულად ყველგან ვერ დაიწყება, არამედ უნდა მოხდეს თანდათანობით. ნიგვზიანის თემში სამი სოფელია გაერთიანებული, მაგრამ სტადიონი არც მათ აქვთ.

საკრებულოს ფრაქციის, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარის, **ელგუჯა ჩხაიძის** აზრით, რჩება შთაბეჭდილება, რომ დეპუტატები მხარს უჭერენ ერთი რომელიმე კონკრეტულ პრეპარატს და არა მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარებას. პირადად ის ემხრობა იმ პრეპარატს შეძენას, რომელსაც სპეციალისტები და შესაბამისი სამსახურები გაუწევენ რეკომენდაციას.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში უკვე დაიწყო შეწამვლის პროცესები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაინტერესებულია შეწამვლის რაც შეიძლება სწრაფად დაწყებით, რადგან მოსავალი ნადგურდება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, დეპუტატებს ამ ეტაპზე ევალებათ, რომ აღნიშნული თანხა ასახონ ბიუჯეტში, შემდეგ კი მოსახლეობის გადასაწყვეტია, შეწამლავენ თუ არა ფართობებს. დეპუტატი ასევე დაინტერესდა, საკმარისია თუ არა პარკირების მოწესრიგებასთან დეკავშირებით გამოყოფილი 2000 ლარი.

გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ კონკრეტული თანხა გათვალისწინებულია სიტუაციის და მოთხოვნის შესაბამისად.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, **ალექსანდრე სარიშვილის** თქმით, ჯიხანჯირის სტადიონი გაკეთებულია, მოხრეშილია და დარჩენილია მცირე სამუშაოები. იქნებ მორჩენილი თანხის გამოყენებით მოხდეს მისი დასრულება. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ საკრებულოს თავმჯდომარისთვის ავტომანქანის შესაძენად მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 22 000 ლარი. მთავრობის ბრძანებულების საფუძველზე განხორციელდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემცირება, რაც პირველ რიგში აისახა კაპიტალურ ხარჯებზე. შესაბამისად, მოხდა ავტომანქანის შესაძენად გამოყოფილი თანხის შემცირება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** წამოაყენა წინადადება, რომ ვალდებულების კლების მუხლი შემცირდეს 22 000 ლარით და შეძენილ იქნას საკრებულოს თავმჯდომარისთვის ავტომანქანა, რითაც საბოლოოდ მოგვარდება აღნიშნული პრობლემა.

საკრებულოს დეპუტატებმა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრე სარიშვილის მიერ წამოყენებულ წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ დეპუტატ გიორგი გოგუაძის მიერ გაკეთებულ იქნა სწორი აქცენტები. მისი თქმით, სურსათის უვნებლობის სამსახურის

შეხვედრაზე ფაქტიურად არც ერთ შეკითხვაზე არ გაცემულა პასუხი. დეპუტატი დაინტერესა, რატომ აკისრებს ფინანსურ და მორალურ პასუხისმგებლობას სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუნიციპალიტეტს და ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრს. იმ შემთხვევაში, თუ არასწორად შეწამვლას მოჰყვა რაიმე გაუთვალისწინებელი სავალალო შედეგი, პირველ რიგში მაჟორიტარ დეპუტატებს მოსთხოვს მოსახლეობა პასუხს. მან აღნიშნა, რომ პირადად არ აპირებს ამ პრეპარატით შეწამლოს საკუთარი ნაკვეთი.

დეპუტატმა, **დავით ჩხარტიშვილმა** აღნიშნა, რომ იყო ერთ-ერთი პირველი ვინც თქვა, რომ ეს პრეპარატი საშიშია. მისი აზრით, მას, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს ამ პროცესებთან დაკავშირებით თავისი წილი პასუხისმგებლობა მოხსნილი აქვს, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ძალ - ღონე არ დაუშურებია და სრულყოფილი, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა მოსახლეობას შეწამვლის პროცესებთან დაკავშირებით. ამასთან, არ არის ალტერნატიული უფასო პრეპარატი, რომელსაც გამოიყენებს მოსახლეობა.

დეპუტატ, **თეიმურაზ ალექსაიას** აზრით, არ არის მართებული დეპუტატ, კახაბერ ასკურავას გამოსვლა, რადგან სახელწიფო პირიქით, ეხმარება ხალხს და არ აიძულებს თვითმმართველობას რაიმე პასუხისმგებლობის აღებას, მით უმეტეს, რომ შეწამვლის პროცესი ნებაყოფლობითია.

დეპუტატმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურის მიერ შეწამვლის პროცესების განხორციელების შემთხვევაში თვითმმართველობას თავისი წილი პასუხისმგებლობა მაინც ექნებოდა. მოსახლეობა დეტალურად უნდა იყოს ინფორმირებული პრეპარატის ავკარგიანობის შესახებ. ამასთან, მათ შეწამვლას არავინ აიძულებს. დეპუტატი დაინტერესდა, არის თუ არა ალტერნატიული პრეპარატი და არსებობს თუ არა ინფორმაცია მისი ტოქსიკურობის შესახებ. თუკი შესაბამისი ნორმები დაცული იქნება, რისკის საშიშროება არ შეიქმნება.

დეპუტატმა, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ შემოდის წინადადებით, რათა ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა დეპუტატებს დეტალურად გააცნოს საკუთარი ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ამასთან, წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, დაარწმუნოს დეპუტატები, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად ის იღებს აღნიშნულ პროცესებზე პასუხისმგებლობას. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ დეპუტატი ელისო ჭიჭინაძე, პროფესიიდან გამომდინარე ასეთ განცხადებებს არ უნდა აკეთებდეს.

დეპუტატ, **აკაკი იმნაიშვილის** თქმით, მისი კუთვნილი თხილის ფართობები განადგურების პირასაა და საჭიროებს დროულ შეწამვლას. მან მიმართა დეპუტატ დარეჯან ბურჭულაძეს და აღნიშნა, რომ სურსათის უვნებლობის სამსახურის წარმომადგენლები ამ საქმის სპეციალისტები არიან და ზრუნავენ ხალხზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ შეუძლია დეპუტატ კახაბერ ასკურავას მიაწოდოს სოფლების მიხედვით სია იმ ადამიანებისა, ვინც სრულყოფილად

გაიარა ტრენინგი. უსაფრთხოების წესების დაცვის შემთხვევაში არანაირი პრობლემა არ შეიქმნება.

ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა, **გელა ზოიძემ** აღნიშნა, რომ შეწამვლასთან დაკავშირებით დრო შეზღუდულია. აღნიშნული პრეპარატი 1984 წლიდან დარეგისტრირებულია ევროკავშირის მიერ. შეწამვლის დროს აუცილებლად უნდა იქნას დაცული შესაბამისი უსაფრთხოების ნორმები. ა(ა)იპ საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრში მუშაობენ აგრონომები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ გარკვეული სახის შეწამვლით სამუშაოებში. ეს არის ძალიან შრომატევადი სამუშაო, რომელშიც უნდა ჩაერთოს ყველა. გამგებლის წარმომადგენლის ხელმოწერის გარეშე არ მოხდება თანხის ჩარიცხვა. ეს არის ბიუჯეტის თანხა და 1 ჰექტარზე შეადგენს 100 ლარს. მან თხოვნით მიმართა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსს, როლანდ ლაშხიას, რომ სასწრაფოდ მოსაგვარებელია ტექნიკური საკითხები, რათა არ შეიქმნას ბიუროკრატიული ბარიერები საწვავთან და შემსყიდველ ორგანიზაციებთან დაკავშირებით. ასევე მოსაგვარებელია სატრანსპორტო საშუალების პრობლემაც. შეწამვლა არის ნებაყოფლობითი. ამასთან, მოქალაქეს შეუძლია გამოიყენოს სხვა ალტერნატიული პრეპარატი, რომლითაც მოხდება ფართობის შეწამვლა. სავარაუდოდ, ეს პროგრამა გაგრძელდება სამომავლოდაც. უნდა შეიქმნას რაღაც სტრუქტურა, სადაც შემდგომ მოხდება მუნიციპალური ქონების შენახვა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ კიდევ ერთხელ შეხვდებიან მოსახლეობას და განუმარტავენ პრეპარატის ავკარგიანობის შესახებ. მთავარია, დაცული იქნას უსაფრთხოების ნორმები. რაც შეეხება ტექნიკურ საკითხს, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებული იქნება ერთობლივად. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, ბევრი რამის გაკეთება იგეგმება. ჯურუყვეთში ჩანგრეულია 4 ხიდი, აგრეთვე აცანა - აკეთის გადასასვლელი ხიდი. ქალაქის მასშტაბითაც გათვალისწინებულია გარკვეული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ბევრ სოფელში დაწყებულია გაზიფიცირების პროცესი. მან თხოვნით მიმართა დეპუტატებს და გამგებლის წარმომადგენლებს, რომ მათ მიაქციონ ყურადღება, რათა გაზიფიცირების დროს არ დაზიანდეს წყლის მილები. ამას გარდა, გაგრძელდება მინი სტადიონების მშენებლობა. ასევე იგეგმება საფეხბურთო აკადემიის გახსნა, რომელიც დაახლოებით 1500 ბავშვს მოემსახურება, ხოლო 60 აღსაზრდელს შეეძლება აკადემიაში დარჩეს დღე - ღამის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ ეთანხმება მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ავტომობილის შეძენის საკითხს. მისი თქმით, პირადად თვითონ გადაადგილდება საკუთარი ავტომანქანით. მიუხედავად ამისა, პირველ რიგში მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის უნდა იქნას შეძენილი ავტომობილი.

დეპუტატმა **თეიმურაზ მარშანიშვილმა** აღნიშნა, რომ წყალწმინდის მოსახლეობის ნაწილი გაზიფიცირებულია, ნაწილი კი - არა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, **ზაზა ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სავარაუდოდ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება გაზი გადაიყვანოს გვერდითი მოსახლისაგან. ამასთან, გაზის შეყვანა მოახლეობას შეუძლია განვადების საფუძველზე.

დეპუტატების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მომხრე: 23 დეპუტატი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 3 დეპუტატმა(კახაბერ ასკურავა, გიორგი გოგუაძე, დარეჯან ბურჭულაძე) .

მიღებულ იქნა დადგენილება N18 (13.06. 2017 წელი).

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებს დაევალებათ 2017 წლის 1 ივლისამდე შტატების დასახელებებში ცვლილება და მათი იერარქიულ რანგებში განაწილება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ 2015 წელს, როცა მზადდებოდა საკითხი და საშტატო ნუსხაში შედიოდა ცვლილება, მომართვა იყო საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციების მიმართ, რომ წარმოედგინათ საკუთარი წინადადებები. დეპუტატის მიერ მიწოდებულ იქნა წინადადება, რომლითაც აქცენტი კეთდებოდა კომისიების სპეციალისტებზე, რათა ისინი ჩასმულიყვნენ შტატში, მაგრამ მაშინ ეს წინადადება არ იქნა გაზიარებული. ამჟამად კანონი ავალდებულებს საკრებულოს, რომ გათვალისწინებულ იქნას ეს მოსაზრება. მისასაღებელია, რომ ერთხელ და სამუდამოდ საჯარო მოხელე მიიღებს ანაზღაურებას საქმიანობის და შრომის შესაბამისად. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, თავის მხრივ, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას აღნიშნული საკითხის განხილვაში.

დეპუტატების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:


კენჭისყრას ესწრებოდა 22 დეპუტატი.

მომხრე: 22 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N47 (13.06. 2017 წელი).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო